

# იოვან ვერცხანძ გრეთა

ფაუსტი



გერმანული და გ

თარგმნა ილრამ ევანერთალიშვილი

პოეტი იორქ ქემერტელიძე ორი ათეული წელია  
მუშაობს გოეთეს „ფაუსტის“ ახალ ქართულ თარგმაზ-  
ზე. ამ პერიოდში თარგმანის ნიმუშები სხვადასხვა  
ლროს გამოაქვთანა უურნალშა „კისკარმა“. ამჟამად  
აღმანახი „საუნჯე“ იწყებს „ფაუსტის“ ამ ახალი თარ-  
გმანის პირველი ნაწილის ბეჭდვას, რომელიც წელს  
დამთავრდება. მთლიანად კი „ფაუსტის“ ორივე ნაწილს  
უახლოეს წლებში გამოსცემს საქ. სსრ მწერალთა კა-  
ვშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლი-  
ტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო  
კოლეგია.

## მიმობის მიმობის

კვლავ მიბრუნდებით მინავლულო ხილვებო ყრმობის,  
სიზმარივით რომ მახსოვს თქვენი მიმქრალი ლანდი;  
შეძლებს კი გული — ხმა შევუწყო იმ პირველყოფილ  
და იმ შორეულ სიჭაბუქის ფიქრისა და წალილს?!  
ალარ მასვენებთ... მაშ, კეთილი! სხვა გზა არაა, —  
შემომხვევიხართ ნისლების და ღრუბლების გროვად;  
კვლავ ჭაბუკურად შეატოკა; შეაქანავა  
გული მავ თქვენმა ჭადოქრულმა ნისლების ქროლვამ.

კვლავ მიბრუნდებით იმ მხიარულ ღლეთა ფერხულით,  
ქველა აჩრდილი სანუკვარი ერთად მოგროვდა  
და მახსენდება, ვით ზღაპარი მივიწყებული,  
პირველი იგი სიყვარული თუ მეგობრობა.  
პირი ეხსნება ძველ იარებს და ცრემლით მალბობს  
ცოდვა და ბრალი ამ ცხოვრების ორომტრიალის —  
იმ საყვარელ და უძვირფასეს სახელთა გამო,  
თვალდახელშუა რომ მტაცებდა ბედი ტიალი.

ვისაც ხიბლავდა ჩემი ჩანგის ძველი ჰანგები,  
ელია მოისმენს ახალ ჰანგებს ამიერიდან:  
შემომეფიანტნენ მეგობრები ძალით განგების;  
ამა, იმ ჩანგის ექოც მიწყდა და მიირინდა. უკრაინული  
და მარტოსული უცხო ბრბოსთვის ვკოდებენ შემომეფიანტნენ  
და ტაში მათი ეკლესიერი მშურიგლავს და მზარავს;  
ოუკი ვინ შემჩნია შეგობარი თითო-ოროლა, —  
ვინ სად და ვინ სად — დაბნეული ელება შარას.



და პა, გალვივდა ნავლი უკვე მიმქრალი ლტოლვის,  
მეძახის მყუდრო და ნეტარი საუფლო სულთა;  
და ჩემი ჩანგის ბუნდოვანი, ლულუნა ტონი  
გაისმის, როგორც ეოლოსის სიმღერა სუფთა,  
სულითხორცამდე შეძრული ვარ და ლაპალუპით  
ჩამომდის ცრემლი, მკერდიც ნაზად ადის და ჩადის  
და რაც ხელთა მაქვს, — ის გამქრალი მგონია უკვე,  
და რაც გამქრალა, სინამდვილე მგონია ცხადი.

### პლიაზი თეატრი

დირექტორი, პოეტი, კომიკოსი

### დ ი რ მ ჯ თ რ ი:

გული შეგტევათ ამ თეატრისთვის,  
ჭირში და ლხინში იმცდი ვართ ერთიმეორის. —  
გურმანიისლა კვალობაზე, დღეისდღეობით,  
როგორ ავაწყოთ სიქმე, რას იტყვით?  
უნდა მოვიგოთ ამ ბრბოს გული. მე მიმაჩნია, —  
მაგათ გარეშე ჩვენ არც გზა გვაქვს და არც სახსარი;  
სცენა მზადება, დადგმულია დეკორაციაც  
და ყველა ელის წარმოდგენის გულისფანცეალით;  
დაუცევეტიათ სავარძლებში მარჯველ ყურები,  
ფარდის გახსნა და, მყისვე ტაშაც გაახურებენ.  
მე ვიცი მათი ხასიათი, როგორც არავინ,  
და მაინც ვლელავ.. და ჯერ ასე არც მიღელვია:  
მათ უკეთესი არც უნახავთ და არც მალავენ,  
მაგრამ წაკითხვით, წაკითხული ბევრზე ბევრი აქვთ.  
როგორ მოვიქცეთ, რომ ეს დადგმა ჩვენი, ზიარი,  
ახალიც იყოს, თან აზრიანიც.  
არ მირჩევნია არაფერი იმის ყურებას,  
თავპირს რომ იმტვრევს ხალხი თეატრში;  
კიწრო შესასვლელს რომ აწყდება დაუსრულებლად,

ვით სასუფევლის აღსავლის ქარს, ჯგულეთა-გნიასით.

განა ერთხელ და განა ორჯერ, — მინახავს ხშირად

წყვეტა და რიგი სალაშოსთან ასეულების, —

რომ გადადიან ერთმანეთის კისრებზე ყირას,

ვით სათონეს წინ დამშეულები.

რამე ისეთი, გულსა და სულს რომ შემოენოს,

მხოლოდ და მხოლოდ პოეტს ძალუს. აბა, პოეტო!



### პოეტი:

ო, მაგ ჭრელ ბრბოზე, თუ ლმურთა გწამს, ნურაფერს მეტყვი!

მისი შემყურე თავს ვერ ვუყრი აზრსა და რითმებს.

ვისა აქვს თავი უთავბოლო ამ გნიას-ჯგულეთის, —

გინდა არ გინდა, — თავის მღვრიე მორევში გითრევს.

არა! მშვიდ, ციურ სავანეში აღმითქვი ყოფნა,

სადაც წმინდაა სიხარული ,როვორც ემბაზი;

საღ ტრფობა მართლაც რომ ტრფობაა, და ძმობა — ძმობა, —

ღვთით კურთხეული ლოლიავში და ფერებაში.

ვაი, რომ რასაც გვეუბნება ასეთ დროს გული,

და რასაც თრთოლვით ლუღლუღებენ ბაგენი ჩვენი, —

იმ წუთას კიდეც რომ იგვიხდეს ,ნუ იტყვის ნურეინ,

გააქრობს ხვალ-ზეგ დავიწყების მსახვრალი ხელი.

იგივ გულისთვის, მინავლული გულში ფიქრებად,

შერე ღვივდება სრული სახით, ხანი რომ გადის...

რაიც ბრჭყვიალებს, დღეს არი და ხვალ არ იქნება,

და რაც ნალდია, იგი ხვალაც იქნება ნაღდი!

### პოეთი პოეტი:

აი მაგ ხვალის გაგონებაც არ მინდა ხოლმე!

მეც რომ ხვალისთვის დამეხარჯა ძალა და ლონე,

ვინ შეიქმედა დღეს ხალხს? რაა ამაში ცუდი? —

სადაც ხარ, — თავზეც იქაური დაიდე ჭუდი!

ეისაც აქვს ამის მარიფათი და შნო პაწია,

გინდ ასე თქვი და გინდ ისე თქვი, დღეს ის კაცია.

თუკი სუჟველგან ტაშს გიკრავენ და მიგელიან, —

ამ ერთი მუჭი ბრბოს მოხიბვლა რა სათქმელია!

ეს ბრბო კი არა, რომ შეპყარო ხალხი მილეთის,

ასეთ კაცს, თუ აქვს, მაშინა აქვს თავის იმედი.

მაშ ასე! ცოტა მარიფათი! მიღექ-მოღექით,

მოიშველიეთ ფანტაზია მცირეოდენი —

გრძნობა იქნება თუ გონება, განცდა თუ ჰერა

და თავის მოსულებაზეც ნუ იტყვით უარს.

დირექტორი:

რაც შეიძლება — მოქმედება ხალხი თეატრში  
მარტოდენ თვალის სამებლად დადის, ნუ ლერნატორი...  
მოძრაობათა ქაოსში და რია-რიაში ბირთვულისა  
გაოგნებისგან სახტად უნდა დარჩეს სუსველა.  
ტაში თუ გინდათ, აი მაშინ გექნებათ ტაში  
და აგიყვანენ ქებითა და დიდებით ცაში.  
ხალხი მასაა, და ეს მასა თხოულობს მასას,  
რომ, ვისაც რა სურს, აირჩიოს ყველამ საკუთრად;  
თუ იგულუხვებ, მაშინ მშრალზეც არავის დასვამ  
და კმაყოფილი წავა ყველა, რაღა თქმა უნდა.  
მთელს მთლად ნუ გასცემთ, — დაუყავით როგორც სადილი,  
დიდი ექნება მოწონება ასეთ შეკამანდს,  
თან, ასე ფიქრიც ადვილია და თქმაც ადვილი...  
ან რა აზრი აქვს მთლად გაცემას, როცა ურთ წამას  
დაინაწილებს ამ მთელს ეს ბრბო კაი მწვადივით.

პომი:

ნუთუ ვერა გრძნობთ, — არ შეჰქორის ეს ნაღდ ხელოვანს, —  
რის მაქნისია ხელოვნური ასეთი სცენა!  
მე ისე ვატყობ, ვერ სცილდება თქვენი გონება  
მჯლაბნელებს ვიღაც-ვიღაცებს — გაკრეფილთ ენად.

დირექტორი:

მაგ საყველურით ტყუილად სტეს დაფს და დაირას!  
საქმეს რომ იწყებ, ისიც უნდა აწონ-დაწონო —  
ამ საქმეს როგორ მოევლება-და რანაირად...  
ღია კარი გაქცეს შესამტვრევი, ჩემო ბატონო!  
ვისთვის წერ? აბა გადაავლე თვალი მარაქას!  
დროს მოსაკლივად გამოსული ზოგი სახლიდან,  
ზოგმა კი აი ეს წუთია, რაც მიალაგა  
ნაირნაირი საჭმელებით სავსე მაგიდა;  
ზოგ-ზოგიც მოდის სალაყბოდ და სალაპარაკოდ, —  
გაბრუებული გაზეთუბით და სისულელით...  
ცნობისმოყვარე ფაციფულით, ვით მასკარადზე,  
მოიჩქარიან ფრთაშესხმულები.  
აი ქალებიც! — რათა კაბა-სამკაულების  
წარმოადგინონ კულისებში უფასო დადგმა.  
რას აიჩემე, სულ ზეცისკენ რომ იყურები!  
ან ამათ სხვაფრივ რით მოგხიბლეს, რას ელი მათგან?  
შეხედე ერთი, გადახედე მაგ შენს მწყალობლებს, —  
ცივი, უხეში სახეები აქვთ ამ საქმოსნებს...

ერთი სული იქვთ, სკამებიდან როდის წამოღვნენ. —

შეაგვიანდა ვის მეძავთან და ვის ბანქოზე.

პოდი, მუზებსაც რად ვაწუბებთ, ღირს კი ამათთვის  
აუტკივარ თავს ვიტიებდეთ ძალისძალათი?!

მხოლოდ კუნტრუში, ფაციფუცი, ხან ეს და ხან ის, უნდა და რა არი, ათი, ოცი.. ვააძრეთ ქანცი,

რომ დააბნიოთ, დაუბნელოთ ტვანიც და თვალიც!

შოხებულას მათსას — სულ ტყუილად ეცდება კაცი...

აბა, რას იტყვით? თქვენსახე ხართ თუ ჩემსას მაცლით?



ურუცნებული

ბეჭედისამართი

### პოეზი:

წალი და ეინმე სხვა მონახე ყმა — ყურმოჭრილი.

დრად უფლებას — ლ'ენავს, მპურობელს ყოველთა,

ლეთურ ნიჭის და მადლს შეაგინოს უნდა პოეტმა

შენს დაყრულზე რომ დააქნიოს თავი მორჩილად!

რითი, რით ხიბლავს გულსა და სულს ათასებისას,

რით აჯადოებს ასე ყველას მგოსნის სიმღერა, —

თუ არ იმ ჰანგით — მკერდიდან რომ მოსჩექეფს ნებისად

და სამყაროში მონუსხული მკერდშივ იღვრება!

გარ მრთველივით თითისტარზე დედაბუნება

ძაფს ცხოვრებისას გულგრილად რომ ართავს და ართავს,

და უთავებოლო ლრიანცელით, დაუსრულებლად

ბრბო რომ რევა სიკვდილის და სიცოცხლის კართან, —

წესრივის პოვნის ამ ჭაოსში ეისა იქვს ღონე?

ვის შეუძლია — მწყობრი სახე მისცეს ამ წესრივს?

ვის ძალუქს — თავი მოუყაროს ცალკეულს ყოველს

ერთ საერთოში. ერთ მეწყობილ ჰანგში და ფერში?

ურნ მისცა ფერებს ქარიშხელთა სუნთქვა და ღონე?

უამი ცისკრისა ვრნ გვაუწყა მთელა სიცხადით?

უნ. გახადებულის უვავისულებით ეინა რთავს ხოლმე

სატრფოს გზასა და ნაფეხურებს ციდან მიწამდი?

ვინა წნავს გეირგვინს სულ უბრალო მწვანე რტოებით

ამ ჭუეყანაზე ყოველგვარი გმირობის ჭილდოდ?

ურნა პყრობი, ოლიმპს? ან ამ ლმერთებს განმარტოებულთ? —

ჩალა მოდგმათა — დაგროვილი პოეტში თვითონ!

### პოეზია:

მაშ რას უდვეხართ! — თუკი ღონეც შეგწევთ და ძალაც,

რა გახდა ურთი პოეტური პატარა ღრამა!

ას უნდა ღიღი ამბავი და ავან-ჩაენი:

გადაეყრება აგერ სადღაც მავანს მავანი,

გაეცნობიან, გარვლიან, გამოივლიან —

სულ სხვაა უკუ მწვანე მიწა და ცა ლივლიფა! —



ბედნიერება, სინანული, იჭვი მიმავლის...  
 მოიხედავენ და ჰა! — ესეც შენი რომანი!  
 ა ასეთი უნდა შექმნათ პიესა თქვენაც,  
 თან — ცხოვრებიდან უნდა იყოს ყოველი სკრინი, მაგრამ როდი ვიცით ცხოვრება-ჭველამ,  
 მოგეცათ ლჩენა, — აქეთ პქონდეთ ყური და სმენა!  
 პრელ-ჭრელ აქეთურ-იქითურში — სინათლე ცოტა,  
 ბევრი სიყალბე — შიგ სიმართლეც ბუურიავდეს ოდნავ...  
 ასე ამგვარად, შესანიშნავს მიიღებთ სასმელს,  
 სიამოვნებით მიარტყამენ თასებზე თასებს.  
 ასეთნაირი თამაში და გულახდილობა  
 ახალგაზრდებიც მიიზიდავს აუცილებლად:  
 დააცხრებიან ჩვენს ამ დადგმას უცებ ქორივით,  
 რომ გამოსწოვონ გრძნობით სარჩო მელანქოლიის;  
 ზოგს ეს უნდა და ზოგს ის უნდა, — ასეც იქნება —  
 ცხადლივ იხილავს, ვისაც რა აქვს გულში ფიქრებად.  
 შათ შეუძლიათ სიხარულიც, ოხვრა-ქვითინიც,  
 იდეალურიც იტაცებთ და ზიზილ-პიპილოც.  
 რით გააკვირვებთ, ვინც მოჭამა თავისი დღენი,  
 ვინც მოზარდია, მაღლიერიც ისაა შენი.

### პოეზი:

შაშ დამიბრუნე მეც ის დღეები,  
 როს თვით ეიყავი ბიჭი თავნება;  
 როს ამ გულიდან გაუნელებლივ  
 სჩქეფდა სიმღერა და ნეტარება.  
 ბურუსად მედგა როს წინ სოფელი,  
 და კვირტის გაშლაც რომ მაოცებდა;  
 აღაღანებულ ველზე მოფენილ  
 ყვავილს ვპრეფდი და ვდგამდი ბორცვებად...  
 თავი მომქონდა, ქშაყოფილის მქონდა იერი  
 ჭეშმარიტების ძიებით და ილუზიებით.  
 ჴა, დამიბრუნე გაუხერხარი  
 ბედნიერება, სულს რომ აწირობდა —  
 მიჯნურის ძალა, ზიზლის უნარი,  
 ჩემი ტკბილმწარე ყმაწვილკაცობა.

### პოეზის ი:

ყმაწვილკაცობა, ღმერთმა მოგცეს, იყოს მისწრება,  
 თუ დაპკრა კამმა მტერთან შებმის, მკლავის ხმარების;  
 თუ ფუქსავატურ თავდავიწყებით  
 თავს გაბეზრებენ ლამაზმანები;  
 ანდა, — გაქაფულ მარათონში, — ვინც ვის მიასწრებს,

დაფუნის გვირგვინი — გამარჯვების — რომ ელოდება;  
 თუ დააღამე ცეკვა-ტრაალში  
 და ლამეც გინდა გაათენო სმაში ლოთებთან,  
 მაგრამ ჩამოკვრა ნიკნობ ლარებშე,  
 ასე რომ გვატკბობს და გვაგულისებს —  
 და გატაცებით და ნეტარებით  
 სწლაფრე მიზნისკენ დასახულისკენ —  
 შეცოვანო. ეს კი ვალია თქვენი...  
 ამიტომაც გვწამს თქვენი თეთრი თმისა და წვერის.  
 სულ ტყურლია, ბავშვდებაო მოხუცი ბოლოს,  
 ჩენ სიბერეშიც ბავშვები უართ, — ესაა მხოლოდ



## დირექტორი:

კმარა რა ღობე-ყორეს ვეძებით,  
 საქმეს შევუდგეთ ახლა, შეეშვით!..  
 ისე. ეგ თქვენი კომპლიმენტები  
 გამოვეადგება რაღაცებებში.  
 ეს აღმაფრენა რომ აჩემეთ, —  
 შერე ამდენ ხანს რამ გაგაჩერათ!  
 ელოდეთ, კიდრე გამოგიწერენ,!  
 თვით უნდა გქონდეთ ეს აღმაფრენა!  
 თქვენ კარგად უყოთ. საქმეს რა შველის, —  
 კა მავარი გვანდა სასმელი.  
 პოლა, ადექოთ, მიღებ-მოდექით  
 და შეუდექით საქმეს ხალისით,  
 დრო არ დაჰკარგოთ მცირეოდენიც,  
 დღეის საქმეებს ნუ სდებთ ხვალისთვის.  
 მხოლოდ გაბედვა! მერე თქვენ იცით! —  
 სელში მოგყვებათ სუყველაფერი!  
 დოგი იქნება ჩვენი სცენისთვის  
 მცირე რამესაც თუ მიეაგენით.

ტოგენერენებით, გერმანულ სცენას  
 უყვარს ცდები და გაწამიშია.  
 ნუ დაიშურებთ ნურაფერს თქვენაც;  
 ნურა მანქანა-დეკორაციას,  
 მიუშეით შუქი მზის და მთიების  
 და ვარსკვლავების სრიერ ცაური,  
 წყალი და ცეცხლი. ტყე — უსიერი,  
 ფრინველ-მიწველი, ტყაურ-მიური....  
 პატარა სცენაშ უნდა დატიოს  
 მთელი სამყაროს მზეც და სვე-ბედიც,  
 რომ ერთი დაკვრით გადავაკვლიოთ  
 ცა, დედამიწა და ჭოჭოხეთი.

### პროლიტი ზეცაში

უფალი, ძალი ციურნი, შემდეგ მეცისტოფელი,  
მთავარანგელოზი.



### რაზაელი:

შობმე სფეროებს ეხმაურება,—  
უღერს ძველი უღერით მზეც მადლიანი;  
ოდითგან დათქმულ გზის გასრულებას  
ქვეყანას ამცნობს გრგვინვა-გრიალით.  
მისი ხილვით ეართ მხნეც და მედვარიც;  
ვის ძალუბს, ჩასწედეს მის არსს ჭეშმარიტს!  
მიუწვდომელი ზე ქმნილებანი  
გვხიბლავენ შექმნის პირველ დღესავით.

### გარიბილი:

და დედამიწაც თავაწყვეტილი  
ბრუნავს და მიჰქრის გრუსუნ-გუგუნით;  
ელავს სამოთხე — ჯოჯონეთივით  
დღე — ნათული და ღამე — უკუნი;  
ზღვა კლდეს ასკდება ელეთ-მელეთით,  
ხევებს ტალღები ლოკავს გნიასით;  
ერთად ჩართული ზღვაც და ხმელეთიც  
სფეროთა მუდმივ რბოლა-ტრიალმი.

### გიგალი:

და გრიგალები, და გრიგალები,  
ზღვით თუ ხმელეთით, რაც კი არსებობს, —  
ერთად ამტყდარან და მძვინვარებით  
ჯაჭვად შეკრულან ქვეყნის გარშემო.  
ელვა — ნიშნად წვის და დანგრევის,  
დგას მეხთატეხა გაუგონარი;  
ღმერთო, გვითნევ და მოგვაგევი  
დღეთა მაგ შენთა მშეიღი ქროლანი.

### სამიზი:

შენით ვივსებით ძალით ნეტარით,  
ვის ძალუბს, ჩასწედეს შენს არსს ჭეშმარიტს;  
ყოველი შენი ზე ქმნილებანი  
გვხიბლავენ შექმნის პირველ დღესავით.

## გეზის თოვლი:

რადგან, უფალო, გაისარჯე და კვლავ ინებე,  
გამოგვეცხადო, განიკითხო ქვეყნის საქმენი —  
მაინც ცდამაინც, ვიცი, თვალში არ გეჩირები,  
და მეც გავძელე, გეახლო და გითხრა სათქმელი.  
მაღალფარდოვან სიტყვებისა არა ვიცი რა,  
გინდაც დაძძრახონ ჩემებურად ვიტყვი უბრალოდ;  
პათოსი ჩემი არ გეყოფა თანაც სიცილად,  
გადაჩვეული რომ არ იყო სიცილი, უფალო!  
არც სამყაროსი ვიცი რამე, არც მზის, რას იზამ...  
შე მხოლოდ ვხედავ მარადიულ ტანჯვას კაცისას.  
ეს დედამიწის უცნაური პატარა ღმერთი  
რაც კი გაჩენის დღიდან იყო, ის არის დღემდის.  
ცოტათი მაინც ააცდენდი დარღთა და ტკივილთ,  
რომ არ მიგეცა მისთვის ლველფი ციური სხივის.  
ის გონის უწოდებს ამ ნაბოძვარს და ეს გონია, —  
რომ მხეცობაში მაათან მხეციც მონაგონია.  
თუ არ გაწყრები, ვიტყვი, რაღა დასამალია, —  
შე ის მავონებს გრძელკანჭება მინდვრის კალიას, —  
ბალახებში რომ სკუპი-სკუპით და ფრენა-ფრენით  
სულ ერთთავად რომ გაბმულ ჰანგზე მღერის და მღერის.  
ვინ მამაძალლი, ბალახში რომ იჯდეს თავისთვის  
და ცხვირს არ ჰყოფდეს წუმპეებში ნაირ-ნაირში!



## უფალი:

სხვას ხომ არათერს მეტყოდი რასმე?  
სულ რომ ვილაცას ლანძლავ და ასმენ,  
არა არის რა მიწაზე კარგი?

## გეზის თოვლი:

არა, უფალო, გარდა ტანჯვას, წვისა და დაგვის!  
კაცს სატანჯველი ისე ტანჯაცს დაუსრულებლად,  
რომ ზოგჯერ მეც არ შემიძლია ამის ყურება.

## უფალი:

ფაუსტს თუ იცნობ?

## გეზის თოვლი:

დოქტორს?

## უფალი:

რაო? მსახურს უფლისას!

**მ ა ზ ი ს ტ რ ი ფ ე ლ ი:**

დიახაც! მაგრამ სამსახურს კი გიწევს უღირსად!   
 მიწიერ საზრდოს არ სჭერდება, — კას დაუმიმწერს მომისა  
 ბოროტისაკენ მიისწრაფვის მთელი არსებით,  
 თუმც ამ სიბრიყვეს სანახევროდ ხვდება კიდევაც;  
 ზეცისგან უნდა — ვარსკვლავები მოკაშაშენი,  
 მიწისგან კიდევ — მიწიერი შვება-დიდება,  
 მაგრამ ვერც ერთით, ვერც მეორით — ამ თავაშვებით —  
 გული იმისი ვერ ძლება და ვერ შოშმინდება.

**უ ფ ა ლ ი:**

ერთგული ხოა! თუ იქცევა დღეს დაბნეულად,  
 გზასაც ვუჩვენებ! აქ საშიში არა არის რა...  
 ხერგი თუ ერთი გაიკეირტა, გამოშეურდა, —  
 იცის მებალებ, რომ ხვალ თუ ზეგ კიდეც დაისხამს.

**მ ა ზ ი ს ტ რ ი ფ ე ლ ი:**

მოდი ნიძლევი, რომ გიღალატებს!  
 ნება მომეცი, ავისრულო ოღონდ წალილი,  
 ავიყოლიო და სულ კუდში მდიოს ლანდივით.

**უ ფ ა ლ ი:**

ვადრე მიწაზე ცხოვრობს, მანამდე  
 უარს ვერ გატყვი, რა გაეწყობა...  
 სწრაფვის კაცისას ახლავს შეცდომაც.

**მ ა ზ ი ს ტ რ ი ფ ე ლ ი:**

გმაღლობთ უფალო ურთიერთობას  
 ვერ ვეწყობოდი მძვდრებთან ვერაფრით;  
 მე სულ ღაულიუა ლოყებს შევნატრი...  
 რა მესაქმება ან კი გვამებთან, —  
 კატა-თავვიუით ვართ ერთმანეთთან!

**უ ფ ა ლ ი:**

კეთილი! ჩემგან ნება გიქვს სრული —  
 მშობლიურ ძუძუს მოსწყვიტო სული!  
 აიყოლიე, როგორც ხელს გაძლევს  
 და შენს ჰერაზე ატარე მარჯვედ.  
 ოღონდ კი შეგრცხვეს, როცა მიხვდები,

რომ ლტოლების წყვდიად ლაბირინთებით  
სწორ გზას იპოვის მართალი კაცი.



### გეოგია თემაზე:

კარგი და, ვნახოთ, ცოტის თუ მაცლი!  
ჩემსას რომ ეიზამ — ნიძლევად არც ღირს —  
შხოლოდ ერთსა გთხოვ — არ ვარ მკვეხარა —  
რომ ზარ-ზეიმით შევძრა ქვეყანა!  
მტვერს, მტვერს დაუწყებს ლოკვას ლაშებით,  
ვითარცა გველი — დეიდაჩემი!

### უცალი:

როცა კი გინდა, მოდი, მარქვი ჭორი და სწორი,  
არ ვუყურებდი ცუდი თვალით მე შენიანებს!  
ყველა სულებში — მგმობელთა და მაწყევართ შორის —  
ყველაზე ნაკლებ მაღიზიანებ.  
ადამიანი და ნაღვაწი მისი გონების  
თვლებით და ძილით დაილია და დაჩიავდა,  
ამიტომ — დიდი სიამოვნებით —  
ეშმაკს მივუჩენ, რომ ფხიზელი იყოს ნიადაგ.

თქვენ კი, ღვთის შვილნო, ალაპყარით ლოცვად ხელები  
და გახარებდეთ ხილვა დიად მშვენიერების!  
დაე, გფარავდეთ სიყვარული ყოვლის მწყალობლის —  
მუდამ მოქმედის, მარადიულ სამყაროს სულის;  
დაე, განმტკიცდეს გონებაში თანდითანობით  
თუ რამ ჭოჭმანობთ და რაშეზე გერჩევათ გული!

### გეოგია თემაზე:

(მარტო)

რამდენიც შევხვდი მე ამ მოხუცს, სულ თავს ვატყობდი, —  
ჭინჭყლიც არ მინდა ჩამოვაგდო მასთან პატარა.  
ნუ გაგეხარდეს! — ქვეყნის დიდი ბატონ-პატრონი  
კაციშვილურად ლაპარაკობს თვით ეშმაკთანაც.

### ფაუსტი:

ლრმად შევისწავლე ფილოსოფია,  
თუ სამართალი, თუ მედიცინა;  
და, სამწუხაროდ, თეოლოგიაც...  
თუმცა, ძალიან კი გამიჭირდა.  
მაგრამ ის ბრიყვი კვლავ დაურჩი ბრიყვად,



დღესაც ისა ვარ, რაც აღრე ვიყავ, —  
მქვია მაგისტრი, დოქტორი მქვია,  
ათი წელია მაქვს რია-რია  
და მოწაფეებს უაზროდ, უქმად  
დავარბენინებ წინა და უკან....  
რა გინდა! თურმე არაფერი არ ვიცით მაინც,  
ახლალა მივხვდი, რისგანა მჭირს უიც და ვაიც.  
თუმც გაცილებით მეტი ვიცი და გამეგება,  
ვიდრე ამ დოქტორ-მაგისტრებმა და სხვა რეგვნებმა —  
ალარ ვუჩივი იჭვს ორჭოფულს — ზვავად მოხეთქილს,  
ალარ მაშინებს თვით ეშმაკი და ჯოჯოხეთი,  
სამაგიეროდ სიხარული გაქრა ლანდივით,  
ჩამქრალა ჟინი ჭეშმარიტის ცნობის წალილის;  
სხვას რომ ვასწივლო, იმის ძალაც არ გამაჩნია,  
შორჩა დამოძლევრა-დარიგება, გაწამაწია!  
შემომეფანტა წლები ზრუნვით ყოველდღიურით,  
რისი დიდება, რის სახელი ამქვეყნიური!  
ვერ აიტანდა ამდენს ძალლიც! და ამიტომაც  
გულმა მაგია მოითხოვა და მოინდომა.  
იქნებ გრძნეული ძალით მოვრჩე ტანჯვა-წვალებას  
და გავარცვიო ამ ცხოვრების იღუმალება,  
ალარ დამჭირდეს ამას იქით მაინც ეგება —  
იმის მტკიცება, რაიც თვითონ არ გამეგება.  
ეგება ჩავწვდე ქვეყნიერების  
მოძრავ ძალათა იღუმალ კავშირს, —  
რომ უიმედოდ და გახელებით  
სულ წიგნის ქექვის არ ვიყო ცდაში.

ო, ბაღრო მთეარევ, ერთხელაც ბარებ  
შემოიჭვრეტლე და კვლავ მნახავდე!  
რამდენი ლამე მე ასე მწარედ  
გამოისავია თეთრიად იქამდეც.  
გამინათებდი მენ უფრო მეტად  
ვიდრე ეს ჩემი წიგნებ-მიგნები...  
ეხ! ემაგ მთებზე შენს შუქზე ნეტავ  
მაბორიალა თავდავიწყებით;  
შემომაქროლა მდელო და კორდი  
და გრძნეულ სულთა კლდენი და ლრენი, —  
რომ დავთმო ტანჯვა ყოველისცოდნის  
და განვიბანო ცვარითა შენით.

ისევ აქა ვარ, ამ ყრუ დილეგში!  
ისევ აქ ვზივარ თუ მომელანდა?  
საღაც გათხუნულ, მტვრიან მინებში



თვით ზეციური შუქიც ვერ იტანს!  
ისევ ეს სორო, კედლები, ჭერი,  
ქალალდის გროვა, წიგნების რიგი —  
გატენილუბი მატლით და მტვერით  
რომ ახორხლილან საზარლად ირგვლივ.  
დაჩურთულები ათასგვარ რამით, —  
კვლავ ეს სკოვრები და ეს ჭილები —  
ნაქონი მამის თუ მამის მამის...  
აი ქვეყანა შენი, ინებე!

და ამის შემდეგ გირვირდეს კიდევ  
გული რას ოხრავს და რაზე კენესის,  
თუ რა იდუმალ ტკივილებს ითმენ,  
თუ რამ დასუთა სიცოცხლე ჟენში.  
ესე ცხოველი ბუნების წესი,  
ლვთით ბოძებული ზრუნვა-ალერსი —  
შენ, შენ გაცვალე წონჩხში და მტვერში,  
ზარა-ხურაში ლა ტველმანებში.

მაშ, ადე, გასწი, მორჩი, გათავდა,  
შორს, უცხო მხარეს გიწევს გუმანი,  
გზა გაგინათოს თვით ნოსტრადამშა  
წიგნით ბრძნულითა და იდუმალით.  
მნათობთა სრბოლის მისწვდება თვალი,  
თუ ბუნებამაკ მოგცა რაიმე —  
აღვსილ იქნები იდუმალ ძალით,  
როს სული სულთან იმუსაიფებს.  
აშაო არის ციურ ნიშნების  
ახსნა-გაგება ცივი გონებით...  
მოდით სულებო, წამოიშალეთ!  
მარქვით, რა იცით, გამაგონევით!  
(კავაშლის წიგნს და დაინახეს მიუროვასმოსის ნიშნებს).  
ახ, ეს რა ნახეს, რა იხილეს ჩემმა თვალებმა,  
რომ უცებ შემძრა ნეტარებამ და სიხარულმა!  
ვგრძნობ სიხალისეს და ლვთაებრივ იღფრთოვანებას,  
ახალგაზრდულად სჩქეფს ძარღვებში სისხლი ძალუმად;  
ნუთუ ლვთის ხელით ალბეჭდილა აქ ეს ნიშნები, —  
ბობოქარ სულის ჩასაბრუნებლად,  
ბეჩივი გულის სასალბუნებლად,  
იდუმალებით მოცულ ბუნებას  
ფარდას რომ ხდიან გარეშემო და აშიშვლებენ?..  
თუ მე ვარ ღმერთი? და ყველაფერი  
ნათელი გახდა ამ ნიშნების იდუმალ ენით!  
გოძრავ ბუნებას ვხედავ აგერ — სულში განფენილს...  
ახლა კი მიკხედი და ვავიგე, რას ამბობს ბრძენი;

„ვერ ხედავ, თორემ აგერ ა, გვერდით —  
სულეთი მუღამ ღია შენთვის.

აბა, შეგირდო, ახსენე ლმერთი  
და ცისკრის ალით განბანე მკერდი!“  
(ათვალიერებს ნიშნებს)

როგორ ერთ მთელში მოძრაობს ყველა,  
ერთში შეორე ფუსფუსებს ლადად!  
ააქვთ და ჩააქვთ ძალათა ზენართ  
ოქროს საწყავი აღმა და დაღმა!  
ნეტარი ფრენით დაპქრიან ასე  
ციდან მიწაზე, მიწიდან ცაზე  
და ჰარმონიით არიან სავსე...



რა სურათია! და რა ფუჭი არის ცდუნება!  
სად, როგორ მივწვდე, უსასრულო დედაბუნებავ,  
შენს ცხოველ ძუძუს — ყოველივე სიცოცხლის წყაროს?  
რითაც საზრდოობს კა და მიწა, ტკბება და ხარობს  
და რომლისკენაც მივისწრაფვი წვითა და გზნებით...  
ის აგერ მოსჩქეფს, მე კი მისი სურვილით ვკვდები.

(უქმაყოფილოდ გადაშელის წიგნს და დაინახავს მიწის სულის ნიშანს)

ო, ეს ნიშანი სულ სხვაგვარად მაღელვებს, თანაც  
საერთოს უფრო, მიწის სულო, მე ვხედავ შენში;  
ვგრძნობ, მემატება ნელნელი ძალა,  
თითქოს შუშხუნა მაჭარი შევსვი, —  
ისე ავენთე. მზად ვარ ქვეყნის ორომტრიალში  
გადაეცრიო, ვზიდო მისი ჭირი და ლხინი,  
ვერ შემაშინებს ქარიშხალთა სტკენა-გნიასი,  
არ შემეცვლება არც დალუპვის შიშისგან ნირი.  
ჩამოიქცევრა გარეშემო,

დაბნელდა მთვარე,

ჩაქრა სინათლე;

აღრჩოლდა კვამლი და ჩემს თავს ზემოთ  
იულვა სხივმა მეწამულმა — იალ-კიალით  
ეშვება დაბლა აჩრდილი!

აგერ! — მენება კიდეც!

ნანატრო სულო! შენ ტრიალებ ეს ჩემს გარშემო!

მეჩვენე!

ო, რაღაც ჩასწყდა გულს უსაშველოდ...

მთელი გონება, მთელი არსება

სულ სხვა გრძნობებით იმსჭიდრება და ითასმება...

ვგრძნობ, რომ ეს გული შენ გეკუთვნის, შენია სულ მთლად!

გამომეცხადე! დამენახე და მოვკვდე თუნდაც!

(ილებს წიგნს და იდუმალი ხმით წარმოთქვამს სულის ნიშნის სახელს. ავარდება  
წითელი ილი და ალში გამოჩნდება სული).

(გავრძელება იქნება)

# იოანე ვოლფანგ აორტი

## ფაშსტი



გერმანული დან

თარგმნა იორქამ ევარეტიულის

**სული**

ვინ მეძახოდა?

**ფაუსტი** (შემობრუნდება)

რასა გავს, ღმერთო!

**სული**

რიხით მიხმობდი სამუსაიფოდ,

შემიწრიალე მთელი საუფლო,

და აი, აქ ვარ...

**ფაუსტი**

ო, მზარავ ერთობ!..

**სული**

შენ არ მიხმობდი დიდის ამბით და დაუინებით,

რომ გაგეგონა ხმა ჩემი და გეხილე სახით!

დავყევი მეც ამ უსაშველო ხვეწნას და ძახილს

და აი, აქ ვარ! შენ კი ამ დროს შიშით ილევა

ოითქმის ზეპაცი

ბობოქარი რა იქნა სული?

ქვეყნის დატევას რომ ლამობდა, რა იქნა გული?

ალტინებული — ალტაცებით და ნეტარებით —

ტკბებოდი, რადგან გახდი სწორი ჩემიანების...

სად ხარ, ფაუსტო! ხმა რომლისაც მომეყურადა,

მთელი არსებით რომ ილტვოდი ჩემკენ გულადად?..

ნუთუ ეს შენ ხარ! — ჩემი სუნთქვით, ჩემი ჩურჩულით

შიშს რომ შეუძრავს გულის ყველა კუთხე-კუნკული? —  
ჭია უმწეო — სიმხდალისგან მთლიად დაძრუნჩხული!



### ჭაუბა

სულო ცეცხლისავ, ნუ გვინივარ მართლად უკარისტია  
შე ვარ ფაუსტი! — ტოლი შენი და თანამარი!

### სული

სიცოცხლის მორევში და შექმნის წიაღში  
ავდივარ, ჩავდივარ,  
ვარ ბრუნვა-ტრიალში...  
შექმნა და გაქრობა —  
ზღვა მარადიული,  
ცვალებად-მუდმივი  
სიცოცხლე მზიური...  
და ბრუნავს ასე დროის ჯარა, არა აქვს მოცლა,  
და მის ბრუნვაში კესოვ ლვთაების სამოსელს ცოცხალს...

### ჭაუბა

შენ ხარ სამყაროს ვინც მოიცავ ყოველი არსით!  
როგორ ახლო ვარ, სულო, შენთან, გამრიგევ ყოვლის!...

### სული

ვისაც ჩასწვდები, შენ იმ სულის იქნები მსგავსი  
და არა ჩემი! (ქრება)

### ჭაუბა (შეძრწუნებული)

არა შენი?

ვიღასი მაშინ?

მე — ხატი ღმერთის —

ნუთუ შენიც არა ვარ ტოლი!

(ისმის კაჟუნი)

ჩემი მოწაფე! აგერ დგას კართან!

აი ესაა, თუ გინდა ჭირი!

ამ უსისხლხორცო წიგნების მატლმა

უნდა წამგვაროს ხილვები ტკბილი!..

(შემოდის ვაგნერი ღმის ხალათითა და ჩაჩით, ხელთ ლამპარი უჰყურა. ფაუსტი უკმაყოფილოდ ირიდებს სახეს)

### ვაგნერი

ვთხოვთ, მაპატიოთ, ძილში ჩამესმა —

რაღაც მონოლოგს კითხულობდით ფრანგულ დრამიდან.

ძალიან მინდა, დავეუფლო ასეთ რამესაც,

რადგან ეს საქმე დღეს წინ წავიდა,

ოურმე — რა ვიცი, მოუმართოს სუსველას ხელი, —

ზოგ მსახიობთან ამ საქმეში ვერ მოვა მღვდელიც!..



### ფაზ ს ტ ი

დიაბ, თუ აშ მღვდელს მსახიობის ბურავს მანტია,  
რაც დღესდღეობით არცთუ ისე იშვიათია.

### ვ ა გ ნ ე რ ი

ეჭ, რა გამოვა დღენიადაგ სახლში ჯდომისგან,  
ხანდახან, ისიც უქმებზე, თუ გახვალ გარეთ;  
ჭოვრიტით უჭვრეტ ქვეყნის კიდეს ამ სიშორიდან  
და სიტყვაც შენი არ სცილდება ამ სახლის კარებს.

### ფაზ ს ტ ი

თუ არრასა ვრძნობთ, ვერც რას ეწევით!  
სიტყვა ნათქვამი, როგორც მეწყერი,  
სულს უნდა მოსწყდეს, რათა სიამით  
აავსოს გული ადამიანის.

თქვენ კი რა, ზიხართ და აკოშიშებთ  
ნაკური-ნარჩენებს — ნაყართ და ვერანთ,  
სხვათა ნასუფრალს ჰერიდებთ ბორინტზე  
და სულს უბერავთ მინავლულ კერას.  
ამეებით კა ჯახსოვდეთ მუდამ,  
მხოლოდ ბავშვს, ყეყეჩს, მოუკლავთ წყურვილს;  
მაგრამ გული კი ვერ მივა გულთან,  
თუ თვით გულიდან არ მოდის თქმული.

### ვ ა გ ნ ე რ ი

მთქმელისთვის მაინც თქმაა მთავარი,  
უნდა ამკობდეს სიტყვას ჯავარი...

### ფაზ ს ტ ი

თუ პატიოსნად უძიებ სახელს,  
ეუვანშებმულიც არა ხარ ბრიყვი!  
სიტყვის თქმას, აზრი თუ არი სალი,  
არ უნდა ტვინის ჰყლეტა და მჯილი.  
კარგი სათქმელი თუ გაქვს რაიმე,  
რად ეძებ სიტყვებს ნაირ-ნაირებს!  
და დათაფლული ეგ შენი ენა,  
თავგზას რომ ურევს ადამიანებს, —  
სულ ამაოა, — ვით ქარის სტვენა,  
გამხმარ ფოთლებში რომ დარიალებს.

### ვ ა გ ნ ე რ ი

ეჭ, ხელოვნება დღეგრძელი არის,  
ჩვენი სიცოცხლე კი დღემოკლეა!

რომ დავფიქრდები, მიპყრობს ხოლმე დარღი და ჭავრი, —  
სულ ამაო ცველა ცდა და ძალის მოკრება....  
ჯერ იმ ბილიკის უნდა გეპყრას ხელში სადავე,  
რომელიც სიბრძნის წყარომდე მიდის, უკრავებული  
შერე, საწყალმა, შეუაგზამდე თუ მიატანე, ბეჭედიშება  
წამოგეწევა სადლაციდან სიკვდილი ფლიდი...

### ფაზსტი

პერგამენტებში ნუ ეძიებ იმ წმინდა წყაროს,  
ერთი ყლუპით რომ მოგიკლავს წყურვილს;  
თუ ამით გინდა სულს ულხინო, ტყუილად წვალობ! —  
ეს წყარო გახლავს შენივე სული!

### ვაგნერი

ბოდიში, მაგრამ განა არ გვგვრის სიამეს წიგნი,  
ოდეს უამთა სულს ჩავწედებით და ჩავფურცლავთ გვერდებს!  
როს ვტკბებით ჩვენი წინაპრების ცხოველი სიბრძნით,  
და როს ვხედავ, თუ ვით ავმაღლდით ჩვენ იმათ შემდეგ!

### ფაზსტი

და მერე როგორ, — ვარსკვლავებს ვწვდებით!  
ეჭ, მეგობარო, წარსულის წლები  
ცხრაკლიტულში ძევს, ვით სიბრძნის წიგნი;  
რასაც უამთა სულს უწოდებს ზოგი,  
მისივ სულია! და სულის შიგნით  
აღბეჭდილია მისივე დრო თავისი წყობით.  
რომ წარმოიდგენ მათ წესს და რიგს, და ფუსფუსს ამდენს,  
გული გიკვდება, გინდა მოწყდე, — გაიძცე სადმე!  
აღულვებთ ბედი, კიდევ კარგი, ქვეყნის, ღირსების...  
მაგრამ ირგვლივ კი სანაგვეა, ვაი და ვიში;  
და პრაგმატული ლაი-ლაი, ზუსტად ისეთი,  
თეატრში ბამბის თოჯინებს რომ ტენიან პირში.

### ვაგნერი

მაგრამ ქვეყანა? ანდა ხალხი? მადლი და ცოდვა?  
ამისი ცოდნაც აუგია და საძრახველი?

### ფაზსტი

კარგია, მაგრამ რას ჰქვია ცოდნა!  
ვინ მოუძებნა ჩვილს ნამდვილი მისი სახელი?  
იითო-ოროლა, ვინც რაიმეს ამ მხრივ ეწია,  
და გაბეჭულად გადაუხსნა მეორეს გული, —  
მოეპრიანა ვინმე ქეციანს —  
კვარს აცვეს, დაწვეს, — ამოხილეს წამებით სული!..



კონკრეტულად, მეგობარი, შაპირის არა არა მეგობარს, —  
შეუალამდებარება, უკვე, გვეყოფა.

3335060

ეჭი, დილამდეც არ დავიძინებდი  
და ასე თქვენთან საუბარში გავტეხდი ლამეს...  
ჩვალ უქმე დღეა და მიეღივარ იმის იმედით, —  
ერთ-ორ კითხვაზე რომ მეტყვით რამეს.  
წუთით არ მაძლევს მოსვენებას სწავლის სურვილი,  
თუმც ბევრი ვიცი, ყოვლისცოდნის მახრჩობს წყურვილი...  
(გადას)

திருவாறை நாயகி (ஸங்கிள)

ამ გლობას მართლა რაიმესი თუ აქვს იმედი  
ხარახურაში იქნება, რაც თავი მახსოვს...  
გაფაციცებით და კანკალით განძეულს ეძებს  
და წეიმის მატლებს რომ პოლონებს, ის უხარია.

როგორ გაბედა ან ასეთ დროს შემოსვლა ჩემთან,  
როცა სულები მეხვია ირგვლივ!  
მაგრამ მე შენი მაღლობელიც კი ვარ ერთოვალ.  
კაცო — კაცოგან უბადრუკზე უბადრუკესო!  
შენ გამომგლიჯე უსაშველო სასოწარკვეთის,  
ლამის კონება რომ წამართვა თვალდახელშუა!  
ო, რა დიადი სახილველი იყო ჩვენება!  
იმის წინ უცებ ქონდრისკაცი მეგონა თავი!  
მე — ხატი ლვოისა, აგერ, ი, ახლა  
მარადიული სინამდვილის სარკის წინ ვიდეჭ —  
განათებული ციურ სხივით და სიანკარით!..  
უნდა მომეხსნა მიწიერი უკვე სამოსი,  
ქერუბიმებზე უზენაესს, მერჩოდა ძალა,  
სამყაროს ძარლვებს რომ ჩავღვროდი ნაკადულებად  
და შექმნის ლვთიურ ნეტარებით რომ დავმტკბარიყავ  
ნაცვლად ამისა, რა მივიღე! — სუყოველივე  
დავლუპე ერთი როყიო სიტყვით!

არა, მე შენი არა ვარ ტოლი!  
დიდის წვალებით გამოხმობით კი ვამოგიხმე,  
მაგრამ არ მეყო მაინც ძალა, — ვერ დაგაკავე!..  
იმ სანეტარო ორიოდე წამს  
ვიყავ პატარაც, დამცრობილი, ვიყავი დიდიც;  
და ვადამტყორცნე ისევ ულმობლად  
ამ უთავბოლო, უკაცრიელ სააქაოში!  
ვიღას რა ეკითხო? ხაით წავიდე?  
ვირწმუნო ჩემი გულისძვრის? თუ არ ვირწმუნო?

ეხ, ჩვენივ საქმით და საქციულით  
ვბორჲავთ ჩვენივე ცხოვრების სრბოლას!



უმშვენიერესს, რასაც ჩვენი შეპხარის სულიშალიშვები  
ვერ ითმენს, როგორც უცხო რამეს, ჩვენი სხეული.  
და თუ ეწიეთ ამქვეყნიურ რამე სიკეთეს,  
უოცნებობთ უფრო უკეთესზე და თავს ვიტყუებთ!  
და ეწირება მიწიერ ფუსფუსს  
შაცოცხლებელი ღიდებული ვრძნობები ჩვენი!

გაშლის თუ არა ნეტარებით ფრთებს ფანტაზია,  
მარადიულის, უკვდავების იმედით სავსე, —  
მყის ვიწროვდება ცა საფრენი.. და იმედებიც  
ერთიმეორის მიყოლებით იმსხვრივა უველა.  
გულში კი უცებ საზრუნოვი ჩნდება ათასი  
და გვგვრის იდუმალ სევდას და ტყივილს,  
გვიკარგავს ძილსა და მოსვენებას...  
და გვიღიტინებს შენიღბული ნაირნაირად —  
ექეთ სახლ-კარი, ეზო, ბაღი, ცოლი და შვილი,  
იქით — თუ წყალი თუ მეწყერი, ცეცხლი და რკინა...  
თრთი მის წინაშე, რაც არასდროს არ გემუქრება,  
და ტირი მისთვის, რაც არასდროს არ დაგიძარგავს!

არა, არა ვარ ღმერთთა ტოლი! მოვეგი ჭიუას! —  
მატლი ვარ მხოლოდ, ნაგავში რომ დაძრომიალობს  
და მტვერს რომ ყლაპავს, საცოდავად ამოგანგლული,  
ვინმე გამვლელი რომ დაადგამს ფეხს და გასრისავს!

თუ არა მტვერი, მაშ რაა ირგვლივ —  
ეს ახორხლილი უამრავი უჯრა და თარო,  
ათასნაირი ჩრჩილიანი ძველმანით სავსე?  
ნუთუ რაცა მსურს, რასაც ვეძებ — აქ უნდა ვპოვო?  
ნუთუ იმისთვის უნდა ვქიქო ამდენი წიგნი,  
რომ მივწვდე: ყველგან იტანჯება ერთთავად უველა?  
რომ... იქნებ ვინმე ბედნიერსაც წავაწყდე ვინმეს?  
შე საცოდავო თავის ჭალავ, რას იქრიშები!  
იქნება მითხრა, რომ ოდესლაც შენი პატრონიც  
ნელში ეძებდა ჩემსავით ნათელს —  
გაწმილებული სინამდვილის ხილვის ლოდინით...  
თქვენაც დამცინით, ჩემო ძველო იარაღებო,  
თვლებო, ლილებო, ქბილანებო და ჭანჭიკებო!  
ზედ კართან ვიდექ! და თქვენ უნდა გაგელოთ იგი!  
მაგრამ ამაოდ, დაკეტილი დარჩა ქვლავ კარი!  
დღისითაც — მზისით, ნათელი რომ ილვრება ირგვლივ,  
ბუნებას ჩვენთვის საიდუმლო ბურავს შანტია

და თუ თვითონ არ მოიხსნა იგი,

ვერ ახდი ვერა იარაღით — სატეხ-მატეხით...

ოი, ძველმანო ხარახურავ, რა თავში გიხლით!

გინახავთ, როგორც მიმის ნაქონ ნივთებს და საგნებს, ერთონ გამოიყენეთ  
თქვენც, ეტრატებო — გაჭვარტლულებო

სულ დღენიადაგ მხრიოლავ ლამპრის მურით და ბოლით...

ეს წერილმანობა თავის დროზე რომ გაშეფლანგა,

ის ჯობდა, ვიდრე წერილმანებზე მეღვარა იაფლი.

რა დაგრჩა მამის, რასაც იყენებ?

რასაც იყენებ, ესე იგი, გჭირდება კიდეა!

რაც არ გჭირდება, ის ზედმეტი ბარგია უკვე,

გამოგადგება მხოლოდ იგი, რასაც შეს წაში!



ერთონ გამოიყენეთ

შემოიყენეთ

სალამი შენდა, ჩემო ფიალავ!

ხელში აგილებ მოწიწებით და მოკრძალებით,

შენშია თურმე ჟველაფერი — ჭკუაც და აზრიც,

შენ ხარ მომგვრელი ნეტარი თვლემის,

წყარო ყოველთა მაკვდინებელ დიდებულ ძალთა...

გაშ შენს ოსტატსაც მოუბოძე წყალობა შენი!

როცა გიყურებ, მიამდება წყლული ყოველი,

ხელში რომ გილებ, მინელდება უინი ცხოველი,

ცხრება თანდათან სული ზეირთად აბორგებული

და მზად ვარ უკვე გადავეშვა უძირი ზღვაში...

აჰა, ჩემს ფერხთით ელავს საჩვე — ზღვის ზედაპირი

და დღე ახალი, და ახალი ბრწყინვას ნაპირი!..

ჸა, ცეცხლოვანი გამოჩნდა ეტლი!

აჰა, მომადგა! და მზად ვარ უკვე

გავკვეთო სივრცე ახალ-ახალ უვალი გზებით

და მოვიხილო სამყარონი ახალ-ახალი...

ო, ნეტარებივ, მართლა ღვთიურო!

შენ, მატლი, ნუთუ ღირსი ხარ ამის?

მორჩა! გათავდა დასთმე ეს მიწა

და შეაქცი ჟველაფერს ზურგი!

და გაარღვიე ამ ჭურლმულის დახშული კარი,

ჟველა რომ უვლის გვერდს, შიშისგან გაოგნებული,

და დაამტკიცე საქმით საქვეყნოდ,

რომ ღვთის სიმაღლეს უტოლდება კაცის ღირსება!

რომ ვერ აშინებს მას უკუნი შავი ჭურლმულიც,

სად : ჩამკვდარა და ჩანავლულა თვით ფანტაზიაც!..

გაშ წინ, რომ გასცდე ამ ვიწრო სოროს,

თუნდ ირგვლივ მთელი ჭოჭოხეთი ენთოს და დუღლეს!

უნდა გადადგა გაბედული ნაბიჯი მტკიცე,

რაც უნდა მოხდეს, თუნდაც გმთანთქოს არარაობამ!

შენ ჩემო წმინდა ბროლის ფიალავ,  
ემავ თაროდან ჩამოგდგამ დაბლა!  
თურმე რამდენმა დრომ გაიარა, —  
მამაპაპისას შვენოდი ტაბლას;  
ახალისებდი მოწყენილ სტუმრებს,  
იდგა ციცინა — ბოლომდე! შესვი!  
აა, გამოცალე!.. და ასე თურმე  
გადადიოდი ხელიდან ხელში.  
როგორც ნახელავს, გაქებდა ჟველა..  
ო მახსოვს ის დროც, ბავშვობის დღენი!  
ლმერთი და რჯული, როდი მინდა ვინმესი წყენა,  
მაგრამ არვისთვის მემეტები რომ დატკბნენ შენით...  
ნექტარით, ჩემივ ნახელავით, აგავსე ახლა,  
მუქლურზი სითხით, მთელ სხეულს რომ ბანგივით უკლის!  
და სავსე თასი მიჭირავს მაღლა, —  
ვსვავ სადღეგრძელოს, უკანასკნელს, სულით და გულით, —  
სალამი ზეიმს, განთიადის შუქი რომ ახლავს!..  
(მიიტანა უალაშ პირთან, ისშის ზარების რეკვა და ვუნდის გალობა)



**ა ნ გ ე ლ ო ს თ ა გ უ ნ დ ი**  
ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!  
გიხაროდენ ცოდვილნო!  
მიწის ლუქმად შობილნო,  
სიკვდილითა პყრობილნო,  
ცით ვფარავდეთ ლმერთი!

### უ ა უ ს ტ ი

ეს რა ციური ჰანგებია, ასე რომ შემკრა  
და ვერაფრით ვერ მივიტანე პირთან ფიალა!  
აჲა! — აღდგომა დილა გვამცნო ზარების რეკვამ...  
ამ სიმღერაშ კი იმედიანმა —  
ოდესლაც ერთხელ, დაკრძალვის ღამით  
ინგელოსებმა რომ იმღერეს ნუგეშიანად —  
რწმენა შთამბერა ახალი ეამის!..

**ქ ა ლ თ ა გ უ ნ დ ი**  
ნელსაცხებელით  
განვგანეთ იგი  
და მოვასვენეთ  
წესით და რიგით,  
წავხურეთ ნარმა,  
დავუდგით კვარი,  
ჰერაზე არ ვართ, —  
საღლაა მკვდარი!



**ა ნ გ ე ლ ო ს თ ა გ უ ნ დ ი**  
 ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!  
 ბნელეთიდან მოვლინდა!  
 კეთილითა ყოვლითა,  
 წყალობითა ცხოვლითა  
 შეგეწევათ ღმერთი!

**ფ ა უ ს ტ ი**

ო, ზეციერო პანგებო ტკბილო!  
 რისთვის მოძვრებით ამ ნაგავში, მტვერში და ჭირში!  
 სხვას უგალობეთ... ჩემს მოხიბვლას ტყუილად ცდილობთ,  
 მესმის რას ამბობთ, მაგრამ რწმენა არა მაქვს მისი...  
 რა ვქნა, — არა მწამს, არა მჯერა ნათქვამი თქვენი,  
 და სასწაულიც — არ არსებობს თვინიერ რწმენის!

არც შემიძლია, არც იმისი ძალა მაქვს თურმე —  
 ციურ სამყაროს შევუმსჭვალო ვონების თვალი;  
 მაგრამ ეს ხმები, ბავშვობიდან რომ ესმის ყურებს,  
 უკან მაბრუნებს იდუმალ ძალით —  
 დიდშაბათ ღამით, ციურ ამბორის  
 ნეტარებით რომ მევსებოდა სული და ხორცი,  
 როს რეკდნენ ზარნი საარაკონი,  
 და როს ვტკბებოდი მხურვალე ლოცვით...  
 შემოვირბენდი გაოგნებით, ვითარცა ხელი,  
 ტყე-ღრე იყო თუ ლელე იყო, მდელო თუ კორდი:  
 თვალთაგან სჩქეფდა ნეტარების მდუღარე ცრემლი  
 და სულში ახალ სამყაროს ვგრძნობდი...  
 ო, ამ სიმღერამ იმ დღეებთან მიმატრიალა!  
 იმ სიხარულმა, სიყმაწვილის გულისფრიალმა  
 ურუანტელივით დამიარა ტანში მთლიანად...  
 და უკან ვიხევ, ძირს ვდგამ ფიალას!  
 ჰანგო ციურო, მოეფინე ქვეყნიერებას!  
 ვარ მიწიერი ისევ კაცი, — ცრემლი მერევა!..

**მ თ ც ი ჭ უ ლ თ ა გ უ ნ დ ი**

აღსდგა და განახლდა  
 მკვდრეთით, ვით ზღაპრიდან,  
 და ზეცად ამაღლდა  
 მოსილი ნათლითა.  
 ცეი იქ უფალთან  
 იშეუებს კეთილად,  
 ჩვენ კი აქ ვწუხვართ და  
 წელში გავწყვეტილვართ,  
 გვტანჭავს უმოწყალო  
 გვემა და კვნესა!

მოვტირით, მოძლვარო,  
სუფევას შენსას!



ა ნ გ ე ს ლ ი ს თ ა გ უ ნ დ ი  
ქრისტე ალსდგა მკვდრეთით,  
ისევ ქვეყნად მოვლინდა,  
შეგეწევათ ღმერთი  
შეწევნითა ცოვლითა!  
მისთვის მქადაგებელნო,  
თავის გამომდებელნო,  
ერთად წამხემსებელნო,  
მისო მაღიდებელნო  
და სამოთხის მძებნელო —  
ტანმთელი და ცოცხალი  
თქვენთანაა მოძლვარი!

### კარიბჭესთან

(სხვადასხვა ჩურის მოსეირნენი გადიან ქალაქიდან)

რ ა მ დ ე ნ ი მ ე შ ე გ ი რ დ ი  
რა ხდება, საით გაგიწევიათ?

ს ხ ვ ე ბ ი  
აგერ იქ, ძირს რომ მწვანე ხევია!

პ ი რ ვ ე ლ ნ ი  
ჩვენ წისქვილებზე ვაპირებთ ჩასვლას!

ე რ თ - ე რ თ ი შ ე გ ი რ დ ი  
კობია, დაბლა ჩაეიდეთ ტბასთან!

მ ე თ რ ე  
შორია, თანაც არ ვარგა ჰავა...  
მ ე თ რ ე ნ ი  
შენ საით მიხვალ?  
მ ე ს ა მ ე  
სითაც სხვა წავა...

მ ე თ ხ ე  
ბურგდორფისაკენ! არ უნდა დავა! —  
ლამაზი ქალი და ლუდი ცივი,  
თან დიღებული ზედ მუშტი-ქრივი...



### მ ე ხ უ თ ე

კაი ვინმე ხარ, მოგეცა ლხენა! —  
ზურგი აგქავდა და გისწრებს ენა...  
შენ როგორც ვინდა, მე, ძმაო — ვერა!..

### მ თ ა ხ ლ ე გ ო გ ო

არა! მე უნდა გაებრუნდე უკან!

### მ ე თ რ ე მ თ ა ხ ლ ე გ ო გ ო

ჭო, ახლა ის ხომ ცაცხებში გვილის!

### კ ი რ ვ ე ლ ი მ თ ა ხ ლ ე გ ო გ ო

მერე მე რაში გჭირდები, ძუძნავ,  
იგი ხომ მუდამ ერთობა შენით, —  
თქვენ ცეკვავთ, ხართ, — იცინით, მლერით  
და მე, სულელი, ვზეიმობ თქვენით...

### მ ე თ რ ე მ თ ა ხ ლ ე გ ო გ ო

დღეს ის ცაცხებში არ მოვა ერთი,  
მითხრა, — გრუზა ბიჭის მოიყვანს შენთვის!

### ს ტ უ დ ე ნ ტ ი

როგორ ნარნარად და საყვარლად მიაბიჭებენ!  
მოდით, რას შეებით, გავავვეთ გვერდით! აბა, ბიჭებო!  
მაგარი ლუდი, მწარე წეკო — მომგვრელი რეტის  
და ზედ, ასეთი კაი გოგო, — რა ვინდა მეტი!

### ჭ ა ლ ა ჭ ე ლ ი გ ო გ ო ნ ა

ამ ბიჭუკელებს უყურეთ ერთი!  
ვაი სირცხვილო და თავის შოჭრავ! —  
ჭალბატონები აგერ ყავთ გვერდით  
და მოახლეებს მისდევენ... ყოჩალ!

### მ ე თ რ ე ს ტ უ დ ე ნ ტ ი (პირველს)

მოიცა! უკან მოდიან თრნი,  
რა დიდებულად აცვიათ, ნახე!  
მეზობელია ის ურთი, მგონი...  
ნამდვილად იმას მიუგავს სახე!  
თვითონ მოვლიან... ჩვენ ვიყოთ ჩვენთვის!.. —  
დაჭუქრავთ თავს და გავყვებით გვერდით...

### ვ ა რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი

ცრა, ძმობილო, როდი ვარ მორცხვი!  
მომყევი, თორემ დავკარგეთ უჯვე!

ეინც შაბათობით სახლსა ჰევის ცოცხით,  
გვამებს კვირას ყველაზე უკეთ.



### მოქალაქე

არა, არ მომწონს ეს ახალი ქალაქის თევრის მიერთება  
თანდათანობით გადიდვულდა, და რა გვიძლიშვილი ეს  
ორლარა არის გარჩევანი თეთრის და შავის  
და უკან მიღის საქმეები თანდათანობით.  
უნდა უქნიო თავი უხმოდ, უმორჩილესიდ,  
და ისე უხმოდ ემატება ქირა ბინებისაც.

### მათხოვარი

ბალხნო კეთილდ — ქალნო და კაცნო,  
თუ სიბრალული იცით ოდნავი, —  
მოიღეთ ჩემდა წყალობა საძმო  
და გამიკითხეთ მე საცოდავი.  
ვის უნდა ჩემი ყეფა ამდენი,  
ნეტარ არიან უხვად გამცემნი;  
თქვენი ზეიმის დღე დღევანდელი  
დღე იყოს ჩემი კუჭის გავსების!

### მეორე მოქალაქე

არა მიუვარს რა არაფერი ამქვეყნად ისე,  
უქმეებზე რომ დაჯდები და ომზე საუბრობ,  
როცა შორს, სადღაც — თურქეთს თუ მისრეთს —  
ურთიმეორეს ხოცვა-ულეტით ჰელეჭენ საუფლოს.  
დგახარ სარკმელთან, წრუპავ სასმელს თხელი ფიალით,  
ძირს ჭრელ-ჭრელ გემებს აუვსიათ მდინარის უბე...  
მერე საღამოს შინ ბრუნდები ხალისიანი,  
და გიხარია, რომ ამქვეყნად მშვიდობა სუფევს.

### მესამე მოქალაქე

სწორი ხართ! ღმერთმა თქვენ გაგახაროთ!  
დაე იმტკრიონ თავები სხვებმა!  
მოლად დაქცეულა მთელი სამყარო,  
ოლონდ შინ გვქონდეს, როგორც გვაქვს, შვება!

### დედაბერი (კალაქილ ვოგონას)

რა კარგები ხართ, რა ლამაზები!  
ვის არ მოხიბლავთ თქვენი მშვენებით!  
ოლონდ ნამეტანს ნუ ინაზებით, —  
თქვენნაირების მე ვარ მშველელი!

### ჭალაჭელა გოგონა

წამო, აგათა, ერიდე მაგ ქალს,  
ხმის ამოლებაც კი არ გაბედო! —

თუმცა კი ერთხელ, არ ვიცი რა ვქნა, —  
მართლა მაჩვენა ჩემი საბედო.

**მ ე თ რ ე ჭ ა ლ ა ჭ ე ლ ი გ ო გ ო ნ ა**  
მეც — ჯარისკაცი დამანახა ბროლის ჭიქაში!  
სწორედ ეს იყო, კარგად მახსოვს, ეს ჯადოქარი!  
მას აქეთია არ მინახავს ის ჯარისკაცი!  
ჟველგან დავეძებ, მავრამ თვალი ვერსად მოვკარი!

**ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი**  
ციხე-ქონგურები  
ცას მიბჯენილები,  
ძრიფე გოგოები  
ცხვირაპრეხილები —  
ჩვენ გვემორჩილებით!  
ჯილდოა მამაცის  
დავლა და ლამაზი!..

ქვეყანას ვეღებით  
ნალარით, ბუკებით;  
ან სულ ავშენდებით,  
ან დავილუპებით, —  
გახსენით კედლები,  
დაგვნებდით უკლებლივ!..  
მამაცის ჯილდოა  
დავლა და ლამაზი,  
ამიტომ მივდივართ  
ბრძოლაში თამაშით!..

### ფაუსტი და ვაგნერი

#### ფ ა უ ს ტ ი

კარზე მომდგარი გაზაფხულის საამო სუნთქვით  
ვატუდა უინული, რუ დაიძრა და მიწა გალბა...  
ამწვანდა მდელო და ფუთფუთი იგრძნობა ფუტკრის,  
დაოსებული ზამთარი კუტი  
ცელარ ჩამოდის მთებიდან დაბლა.  
იქლა იქვს ბინა სასომიხდილს და ლამლამობით  
წვრილ, ხორხოშელა ჭირხლს უგზავნის მინდვრებს მთებიდან,  
მაგრამ თენდება ნელანელა და მზე ამრაცის  
და ყოველივეს ორთქლად აქცევს მცრუნვარებითა..  
და ყველაფერი აღდგომისთვის გამზადებულა,  
კვირტებს ქუთუთო დაპერვიათ — სიმძიმით დახრილთ,  
ჯერ ველ-მინდორი უკავილით არ აჭრელებულა, —  
სამაგიეროდ აჭრელდა ხალხით.



გახედე, თვალი მიაპყარ წამით  
ქალაქის ბნელსა და მაღალ კარებს! —  
ლაცარიელდა ქალაქი ლამის,  
გაცოფენილი ჭრელი ბრბო გარეთ;  
დღევანდელი დღით ტკბობა სურს ყველაზე როგორი  
ქრისტეს აღდგომას ზეიმობენ... მოგეცათ ლიტენი, —  
ვითომ თვითონაც აღსდგებიან მკვდრეთიდან ზენად!...  
და მოძერებიან ქოხებიდან, მიწურებიდან,  
მყრალ ქარხნებიდან, ფარლალი ფიცრულებიდან,  
თუ სხვენებიდან, თუ ათასგვარ სხვა ხვრელებიდან,  
თუ საყდრებიდან, აღაპიდან, გასვენებიდან,  
პირდაპირ სანთელ-საქმევლიდან — წირვა-ლოცვიდან,  
ზედ ქუჩის ჯგლეთა-გნიასიდან და ხორხოციდან,  
რომ ბუნებაში დაივანონ სულით, ხორცითა...



აგერ გახედე! — ყველა იქ არი,  
ბრბოს დაუფარავს ირგვლივ მთა-ველი,  
მთელი მდინარე, სიგრძე-სიგანით,  
გადაჭედილი ჭრელი ნავებით.  
ხელავ ბოლო ნავს? რა დაზეინულა!  
მოიზლაზნება რა გაჭირვებით!  
აპა, სულ ხალხით ამოპირულა  
მთის ბილიკებიც და გზაწვრილებიც;  
ყველას ერთი აქვს გრძნობა-წადილი,  
და ნეტარება ჩამდგარა სოფლად...  
აი სამოთხე მართლა ნამდვილი!  
აქ ვარ მე კაცი, აქ მმართებს ყოფნა!

### ვაჭნერი

ბატონო ჩემო, უზომოდ გმადლობთ, —  
თქვენ გვერდით რომ ვარ, ვარ ამაყი და ბედნიერი!  
რა მომიყვანდა იბა აქ მარტო,  
ჭირივითა მძულს მე ამათი ტლანქი იერი, —  
ეს ღრიანცელი, ხტუნვა-როკვა და ტაშ-ფანდურა  
მხოლოდ მოთქმაა და უწესო უადათობა!

ცოფიანივით მძვინვარების ზღვაში ჩანთქმულია  
და უწოდებენ მას სიმღერას, ცეკვა-გართობას!..

### გლეხები

(ცეკვავენ და მღერიან ცაცხვის ქვეშ)  
მწყემსი ბიჭუნა გვეწვია,  
ერთი უყურეთ პეწიანს! —  
მხარზე კომბალი გაიდვა,  
წრე გაარღვეია ჭაბუკმა, —

ფეხისწვერებზე ჩაბუქნა...  
უღერს ვიოლინო, — ჰაიდა!  
ჰაიდა, ბიჭო, ჰაიდა!



წრე გაარღვია ჭაბუქმა,  
ზედ გოგოს ცხვირწინ ჩაბუქნა  
და ცეკვა-ცეკვით წავიდა!..  
გოგო, ნუ მორცხვობ, ნუ ხამობ,  
ბიჭო, თავხედი ნუ ხარო...  
ჰაიდა, ჰეი, ჰაიდა!  
„ბიჭო, თავხედი ნუ ხარო!“

ხელი ჩაკიდა ჭაბუქმა,  
კვლავ ჩაბუქნა და ჩაბუქნა, —  
გოგოს, რა ექნა, გავიდა...  
სხეულმა იგრძნო სხეული  
ჩაკრული და ჩახვეული!  
ჰაიდა, ბიჭო, ჰაიდა!  
უღერს ვიოლინო, — ჰაიდა!

„ბიჭო, მომეშვი!“ — ჭაბუქმა  
ისევ და ისევ ჩაბუქნა,  
წრიდან ნელ-ნელა გავიდა...  
გოგონაც თან გაიყოლა, —  
იყო და არა იყო რა!  
ჰაიდა, ბიჭო, ჰაიდა!  
უღერს ვიოლინო, — ჰაიდა!

**შოთუცი გლეხი**  
თქვენ გაგახარათ ლმერთმა, ბატონო,  
ტანმრთელობა და სიცოცხლე თქვენი,  
რომ ჩვენ მდაბიურ ლჩინს არ თაქილობთ  
კაცი ნასწავლი და ბრძენზე ბრძენი.  
მოგვირთმევია სავსე სასმისი,  
შიგ ჩვენებური ლვინოა ძველი,  
შესვით, ვაამოთ! გულს მოგინახავთ!  
თან გაისველეთ პატარა ყელი...  
რამდენი წვეთიც ამ თასში იყოს,  
შეგმატებოდეთ იმდენი წელი!

**ფაუსტი**  
ნუ დაგილიოთ ლვინო და პური!  
მალლობას გიძლვნით სულით და გულით...  
(ხალხი ჭიჭა-ჭიჭა იკრიბება მის გარშემო)



Digitized by srujanika@gmail.com

ჩვენი ამ ლხინის გაზიარებით  
უკელა უზომოდ კმაყოფილია,  
მაგრამ ლხინი რა მოსატანია,  
სულ ჩვენთანა ხართ, როცა ვირია.  
თუ მამაშენი არ ყოფილიყო,  
სად იქნებოდა ჩვენი ხსენება! —  
ბევრს ან ქოლერა გადაგვიტანდა,  
ან შავი ვირი მოგვინელებდა.  
თქვენ რა იყავით, ჯერ სულ ყმაწვილი,  
და რა სენი არ მოგირჩენიათ!  
ხალხი თქვენ ხელში იხოცებოდა,  
თქვენ ფრჩილიც კი არ წამოეტკენიათ, —  
ნიადაგ ისე ზრუნავდით ჩვენთვის, —  
მფარველს მფარველი გფარავდათ ღმერთი!...

5303650

ლმერთო, გვიცოცხლე ეს კაცი ბრძენი,  
რომ არ მოგვაკლდეს მაგრამ ხელი

୪୨୮୯

თაყვანი ეციო იქ, მაღლა, ზენარს,  
იგი გვმოძლვრავს ლა გვიგზავნის შველას!  
(მიდის ვაგნერთან ერთად)

3 2 8 5 9 9 0

დიადო კაცო, რათა გრძნობი ნეტავ,  
 როს ოვაციით გიმაღლიან ლუაწლსა და გარჯას!  
 ბედნიერია, უნც გონებას და გულის ფეოქვას  
 სასიკეთოლ და სამაღლოდ ხარჯავს!  
 შენ ირგვლივ ხალხის ირევა ჭარი,  
 შეწყდა ცეკვა და დადუმდა ჭნარი!  
 და ხალხის რიგში მიაბიჯებ ნაბიჯით წყნარით.  
 შენზე უთითებს მამა ჩვილ შვილს — ხელში აყვა  
 ქუდებს ისვრიან ცაში ყაყანით,

ლამის მუხლამდე ხრიან თავებს,  
რომ გცენ თაყვანი!..

୩୦୬୮

ცოტა კიდევ და, აგერ იმ ჭვაზე  
ჩამოვისვენოთ, წავიდოდეთ ვიდრემდის შინაც...  
რამდენჯერ ვმჯდარვარ აქ მარტოკა, ფიქრებით სავსე,  
ლოცვად და აჯად და მეოხად უფლისა მიმართ.  
და რა იმედით, როგორი რწმენით,



ხელაპყრობილი, ვითარცა მწირი,  
 შევთხოვდი უფალს ონკრით და ცრემლით,  
 რომ აეცდინა ქვეყნისთვის ჭირი.  
 აი ამ წუთში რომ ვუსმენ ამათ,  
 მეჩვენება, რომ დამცინიან დაუფარავად!  
 რადგან არც შვილი და არცა მამა,  
 არც ერთი ქების ღირსი არა ვართ!  
 ახირებული კაცი იყო მამა საწყალი  
 რათა როგორმე ჩასწერდომოდა ძალებს იღუმალთ —  
 უკირკიტებდა ბეჭითად და გულისფანცქალით,  
 რაც მართლა სწამდა პატიოსნად და რაინდულად;  
 უჯდა მაგიდას მთელ დღეს ქურასთან,  
 შიგნიდან ედო კარებზე რაზა,  
 ამას ხარშავდა, იმას წურავდა  
 და ამზადებდა საეჭვო ნაზავს.  
 აი წითელი დათვიყურა — კუშტი საქმარო  
 და სადედოფლო — ნაზი ზამბანი!  
 ტინის კოლბაში შეგიძლია ერთად ჩაჰყარო, —  
 შეულლდებიან თურთუხ-ფახფახით.  
 და დედოფლი ცხელი შუშიდან  
 ქაფქაფა ცრემლით მოთქვამს და ტირის;  
 აი წამალიც! და მას გემო ვინც გაუსინჯა,  
 ყველამ უკლებლივ მოგვამათ ჭირი!  
 ეს წუმპე-მუმპე ნელა-ნელა, და თან ულმობლად, —  
 თუ ფიალებით, თუ კოვზებით და თუ თასებით —  
 შავი ჭირივით დაერია აქაურობას,  
 მარტო თვითონ მე — დახოცილი მყავს ათასები!  
 და როგორ გინდა აიტანო ცოდვა და მადლი, —  
 მაჭებენ! და შენ თავგასული მკვლელი ხარ მათი!..

გაგრძელება იქნება